ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7734542

ნომერი: AR11120094

თარიღი : 03.12.2025

გაცემის თარიღი : 10.12.2025

გაცნობის თარიღი : 10.12.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 46;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ლოლაშვილი პ/ნ 01008008282
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 03 დეკემბერს №AR11120094 განცხადებით მომართა ზურაბ ლოლაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 24 ნოემბრის №7714524 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 24 ნოემბრის №7714524 ბრძანებით შეთანხმდა №01.10.06.001.205 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 24 ნოემბრის №7714524 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმაზე („0.000, -1.500 და +1.000“ ნიშნული) არასწორად იქნა დატანილი №2 და №3 კომერციულ ფართებს შორის გამყოფი კედელი, რაც წარმოდგენილ ამავე გეგმაზე გასწორებულია. ასევე, განმარტავს, რომ აღნიშნული კედლის გასწორებამ გამოიწვია კომერციული ფართების დაზუსტება. შესაბამისად, ითხოვს წარმოდგენილი გეგმის („0.000, -1.500 და +1.000“ ნიშნული) ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილ გეგმაზე („0.000, -1.500 და +1.000 ნიშნული“) „5-7“ და „ლ“ ღერძებში შეთანხმებულთან მიმართებით გადაადგილებულია კედელი, რაც არ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს და შესაბამისად, სამსახურის 2025 წლის 24 ნოემბრის №7714524 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან განმცხადებლის მიერ მითითებული ცვლილებები არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2025 წლის 24 ნოემბრის №7714524 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.